# ხელშეკრულება № 11
## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი

19 თებერვალი 2019 წ

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის გიგა ბერიძის სახით (შემდგომში ""მომსახურების გამწევი" და მეორეს მხრივ, ა(ა)იპ „აგროპროექტების მართვის ცენტრი" ს წარმოდგენილი მისი დირექტორის ჯამბულ აბულაძის სახით (შემდგომში "მომსახურების მიმღები" ), შემდგომში ერთად წოდებულნი, როგორც „მხარეები", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის (მუხლი 3, პუნქტი 1, „ს[1]" ქვეპუნქტი) და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი"-ს (მუხლი 2, „ა" ქვეპუნქტი) შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმდნენ შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი, ღირებულება და მომსახურების ვადა

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მომსახურების გამწევი მომსახურების მიმღებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით უწევს მომსახურებას, კერძოდ: მომსახურების გამწევის სარგებლობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებით (ავტომანქანა MAN TGA 26-390, გამოშვების წელი - 2004 წ, სახ. №BC842BF) პერიოდულად სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ტრანსპორტირება (**CPV კოდი 60100000)(ქვეპროგრამა 070602**).

1.2. მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს: **960 (ცხრაასსამოცი) ლარი.**

მომსახურები ღირებულება 1 კ.მ შეადგენს 1.60 ლარს, გავლილი მანძილის აღრიცხვა განხორციელდება ავტომანქანის მრიცხველის მეშვეობით.

1.3. ავტომანქანის მრიცხველის საწყისი ჩვენებაა 812 700 კ.მ.

1.4. მომსახურება განხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2019 წლის 1 მარტამდე პერიოდში.

### 2. მომსახურების გამწევის უფლებები და მოვალეობები

2.1. მომსახურების გამწევი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით უზრუნველყოს ტვირთის ტრანსპორტირება და უფლებამოსილია მიიღოს გაწეული მომსახურების ღირებულება;

### 3. მომსახურების მიმღების უფლებები და მოვალეობები

3.1. მომსახურების მიმღებს უფლება აქვს მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება და ვალდებულია გადაიხადოს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ღირებულება;

### 4. ანგარიშწორების პირობები

4.1. მომსახურების მიმღების მიერ ანგარიშსწორება ხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით ავტომანქანის მრიცხველის მიხედვით, გაფორმებული მიღება-ჩაბარებ(ებ)ის საფუძველზე, რომელსაც მომსახურების გამწევის მხრიდან ხელს აწერს სატრანსპორტო საშუალების მძღოლი გიორგი ბერიძე და მარკეტინგის სპეციალისტი გიორგი სირაბიძე;

4.2. მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება თვეში ერთჯერ ყოველი თვის ბოლო რიცხვში, შემთხვევაში თუ სამუშაო დღე არ დაემთხვევა, მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდ მომდევნო სამუშო დღეს.

4.2. გაწეული მომსახურების ღირებულება გადახდილ უნდა იქნას ხელშეკრულებ მითითებულ საბანკო ანგარიშზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტა სათანადო მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

## 5. ვალდებულების შეუსრულებლობა და პასუხისმგებლობა

5.1. მომსახურების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევა მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,5 % ოდენობით, ყვე ვადაგადაცილებულ დღეზე;

5.2. მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გა პისაგამტეხლოს დაკისრება არ ათავისუფლებს მხარეებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ძირითა ვალდებულებების შესრულებისაგან;

5.3. ხელშეკრულების მხარეებს აქვთ უფლება შეწყვიტონ ხელშეკრულება თუ მხა გაფრთხილების მიუხედავათ აგრძელებს სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევას;

5.4. მომსახურების გამწევს, საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, ყოველგვა დასაბუთების გარეშე, აქვს უფლება ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

## 6. ფორს–მაჟორი

6.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევა ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის გა არ იქნება განხილული, როგორც ამ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობადა გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

6.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს–მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მა კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულ მომსახურების მიმღებისა ან მომსახურების გამწევის შეცდომებსა და დაუდევრობასთან რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი; ასეთი გარემოება შეიძლ გამოწვეული იქნა სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესები საბიუჯეტო ასიგნებათა მკვეთრი შემცირებით და სხვა გარემოებებით;

6.3. ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით, ასეთი გარემოებების მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

## 7. დავები

წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულება წარმოადგენს მხარეებს შორის სრულ შეთანხმებას. ნებისმიერი დავა, რომლის გადაწყვეტა შეუძლებელი იქნება მოლაპარაკებ მეშვეობით, გადაჭრილი უნდა იქნეს კერძო არბიტრაჟის მეშვეობით, მოქმედი კანონმდებლობ დადგენილი წესით;

**8. ხელშეკრულებაში ცვლილება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

8.1. ნებისმიერი ცვლილება ან დამატება წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულებაშ შეტანილი უნდა იქნეს წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი უნდა იყოს მომსახურები მიმღების ან მომსახურების გამწევის მიერ და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფე ნაწილს

8.2. ხელშეკრულება მოქმედებს მხარეების მიერ ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 201 წლის 1 მაისამდე;

**9. მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები**

9.1. წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბა იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და გადაეცემა მხარეებს.

**15. მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები**

| | |
|---|---|
| ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი" | ა(ა)იპ ,,აგროპროექტების მართვის ცენტრი" |
| მის. ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ. #46ა | მის. ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ. #46ა |
| ს/კ 445 399 391 | ს/კ 445 498 060 |
| სახელმწიფო ხაზინა<br>ბანკის კოდი TRESGE22<br>სახაზინო კოდი 740527499 | დირექტორი |
| დირექტორი<br>გოჩა ბერიძე | ჯამბულ აბულაძე |
| --------------------------- | --------------------------- |

AGRICULTURE
PROJECTS
MANAGEMENT
CENTER